



**ალექსანდრე წულაძე**

**ქართული სასამართლო  
მედიაციის შედარებითი  
ანალიზი**

**თბილისი, 2017**  
**გამომცემლობა „იურისტების საფარო“**



**Aleksandre Tsuladze**

**Comparative Analysis of  
Georgian Court Mediation**

**TBILISI, 2017**  
**Publishing House „World of Lawyers“**



**ბულნროფელ მადლოხას ვუხლი იმ ადამიანებს,  
რომელთა მხარდაჭერისა და თანადგომის  
ბარეში ეს ნაშრომი არ იარსებებდა.**

ყველა უფლება დაცულია. ამ ნიგნის არც ერთი ნაწილი (ეს იქნება ტექსტი, ფოტო-ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება საქართველოს კანონმდებლობით.

© ალექსანდრე წულაძე, 2017

© გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2017



**გამომცემლობა „იურისტების სამყარო“**

**თბილისი, მ. კოსტავას №75; ტელ.: 238 35 99; 557 51 51 34**

**ელ-ფოსტა: [Lawyers.world@yahoo.com](mailto:Lawyers.world@yahoo.com);**

**ვებ-გვერდი: [www.law.ge](http://www.law.ge)**

**[www.facebook.com/PublishingWorldofLawyers](https://www.facebook.com/PublishingWorldofLawyers)**

**ISBN 978-9941-9537-3-6**

**MY SINCERE GRATITUDE TO HON. JUDGE DANIEL WEINSTEIN  
WITHOUT HIS SUPPORT AND INSPIRATION THESE BOOK  
WOULDN'T HAVE BEEN EXISTED.**

All rights reserved. No part of this publication may be reproduced, distributed, or transmitted in any form or by any means, including photocopying, recording, or other electronic or mechanical methods, without the prior written permission of the author. , except in the case of brief quotations and certain other noncommercial uses permitted by copyright law.

© Aleksandre Tsuladze

© Publishing House " World of Lawyers"



Publishing House " World of Lawyers"

---

Adress: Tbilisi, Georgia, M. Kostavas Str#75; Tel.: +995 557 51 51 34;

Email: [Lawyers.world@yahoo.com](mailto:Lawyers.world@yahoo.com);

[www.law.ge](http://www.law.ge);

[www.facebook.com/PublishingWorldofLawyers](https://www.facebook.com/PublishingWorldofLawyers);

ISBN 978-9941-9537-3-6

## აბრევიატურა

### ქართულ ენაზე:

|        |  |
|--------|--|
| გერ.   | გერმანულად                               |
| იხ.    | იხილე                                    |
| თბ.    | თბილისი                                  |
| ინგ.   | ინგლისურად                               |
| მთარგ. | მთარგმნელი                               |
| რედ.   | რედაქტორი                                |
| სსკ    | საქართველოს სამოქალაქო კოდექსი           |
| სსსკ   | საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი |
| ტ.     | ტომი                                     |

### უცხოურ ენებზე:

|          |   |
|----------|---|
| ADR      | Alternative Dispute Resolution  |
| Art.     | Article   |
| BGB      | Bürgerliches Gesetzbuch, Code of Civil Law  |
| CEDR     | Center of Effective Dispute Resolution  |
| Ed.      | Editor  |
| EGZPO    | Gesetz, betreffend die Einführung der Zivilprozeßordnung, Introduction to the Civil Procedure |
| JAMS     | Judiciary Arbitration Mediation Services  |
| MLICC    | Model Law on International Commercial Conciliation  |
| No.      | Number  |
| Para.    | Paragraph   |
| UMA      | Uniform Mediation Act   |
| UNCITRAL | United Nations' Commission on International Trade Law   |
| Vol.     | Volume  |
| ZPO      | Zivilprozessordnung, Code of Civil Procedure  |

## წინასიტყვაობა

აღბათ გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ამ წიგნის წინასიტყვაობის დაწერა ჩემთვის განსაკუთრებული პატივია და ამას თავისი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზები აქვს. ეს წიგნი ფაქტობრივად ჩემს თვალწინ შეიქმნა. ჯერ კონტურები გამოიკვეთა და შემდეგ ნელ ნელა მიიღო ის სახე, რომლითაც მკითხველთა სამსჯავროს წინაშე უნდა წარსდგეს.

თითქმის მთელი 2011 წელი გერმანიაში გავატარე და აღბათ ამიტომ დამამახსოვრდა ზაფხულში ჩემს ტელეფონზე შემოსული ზარი. თანამოსაუბრემ თავი ძალიან ზრდილობიანად წარმომიდგინა და მედიაციასთან დაკავშირებული დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელობა მთხოვა. მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრე წულაძეს არ ვიცნობდი, მაინც უყოყმანოდ დავთანხმდი. მედიაცია მაშინ ახალი ხილი იყო და სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის მსურველი ადამიანი როგორც მინიმუმ ყურადღებას და მხარდაჭერას იმსახურებდა.

თბილისში მოგვიანებით გაგრძელებულ მუშაობას გერმანიაში ერთობლივი სამეცნიერო მივლინება მოჰყვა. 2013 წლის ზაფხულის უდიდესი ნაწილი ამ წიგნის ავტორთან ერთად მაქს პლანკის საერთაშორისო კერძო სამართლისა და შედარებითი სამართლის ინსტიტუტში (ჰამბურგი, გერმანია) გავატარე. დრო და გარემო ყველანაირად უწყობდა ხელს ცალკეული დეტალების გარემემო დისკუსიებს, რასაც თითქმის ყოველ საღამოს ვმართავდით.

თუმცა, ავტორის სწრაფვა სიახლეების ძიებისაკენ ამით არ ამონურულა. შემდგომ იყო სტაჟირება კოლუმბიის უნივერსიტეტში და დავის გადაწყვეტის ინდუსტრიაში უმსხვილესი კომპანიის “ჯემსის” პრესტიჟული სტიპენდია. “ჯემსმა” ალექსანდრეს საშუალება მისცა მედიაცია უშუალოდ მოქმედებაში ენახა და დაჰკვირვებოდა მის თვისებებს. ვინც დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებებისადმი ამერიკელთა დამოკიდებულებას იცნობს, მისთვის რთული არ იქნება ამ წიგნში “ამერიკული გავლენის” აღმოჩენა. ეს ის შემთხვევაა, როდესაც სიტყვა “გავლენა” მისი ყველაზე პოზიტიური მნიშვნელობით შეიძლება გავიგოთ და გამოვიყენოთ.

წარმოდგენილი ნაშრომი ქართულ ენაზე შესრულებული პირვე-

ლი დისერტაციაა მედიაციაში და ეს ფაქტი თავისთავად უსვამს ხაზს მის განსაკუთრებულობას. სპეციალურად უნდა აღინიშნოს, რომ ავტორმა დეტალურად შეისწავლა ყველა ანგარიში, დასკვნა თუ მოხსენება, რომელიც საქართველოში მედიაციასთან დაკავშირებით მომზადებულია. ეს კი თავისთავად დაეხმარა ნაშრომს დასმული პრობლემის სხვადასხვა პერსპექტივიდან კრიტიკულ წარმოჩენაში.

წიგნში საინტერესოდ და მრავალმხრივად არის დახასიათებული ყველა ის კომპონენტი, რაც მედიაციის მოდელის ფორმირებისათვის არის აუცილებელი. ავტორი შეეცადა სასამართლო სისტემაში მუშაობისას შექმნილი მდიდარი გამოცდილება და ქართული სპეციფიკის ცოდნა საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებასთან შეეპირისპირებინა. კვლევის შედეგად მიღებული შედეგი იმითაც არის გამორჩეული, რომ ალექო თვითონვე ცდილობს მის მიერ აღწერილი და დამუშავებული მოდელის ცალკეული ელემენტების სასამართლოს ყოველდღიურ საქმიანობაში დაწერგვას.

ბოლოსთვის ისლა დამრჩენია, რომ წარმატებები ვუსურვო როგორც ამ წიგნს, რომელიც თავის მკითხველთან ერთად დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებს, ასევე მის ავტორს, რომელიც, დარწმუნებული ვარ, რომ კვლავ განაგრძობს ამ მიმართულებით სიღრმისეულ მუშაობას და თავის წვლილს შეიტანს არც თუ ისე მდიდარი ქართული დოქტრინის წინსვლასა და განვითარებაში.

*გიორგი ცერცვაძე  
თბილისი 2017 წელი*



## სარჩევი

|  |           |
|--|-----------|
| აბრევიატურა.....   | 6         |
| წინასიტყვაობა.....   | 7         |
| შესავალი.....  | 13        |
| <b>I. მედიაციის მოდელის განმსაზღვრელი<br/>კომპონენტები .....</b>                                     | <b>23</b> |
| 1.1 დავის გადაწყვეტის მბოჭავი და არამბოჭავი<br>საშუალებები .....                                     | 24        |
| 1.2 ინტერესებსა და უფლებებზე დამყარებული<br>პროცესების სხვაობა.....                                  | 26        |
| 1.3 კონფიდენციალობა, როგორც მედიაციის<br>შემადგენელი ნაწილი .....                                    | 30        |
| 2. ნებაყოფლობითობა, როგორც მედიაციის მოდელის<br>განმსაზღვრელი კომპონენტი.....                        | 33        |
| 2.1 სავალდებულო მედიაციის დადებითი და უარყოფითი<br>მხარეები .....                                    | 36        |
| 2.2 ნებაყოფლობითი მედიაციის დადებითი და<br>უარყოფითი მხარეები.....                                   | 41        |
| 3. ნორმატიული რეგულირება, როგორც მედიაციის<br>მოდელის განმსაზღვრელი კომპონენტი.....                  | 44        |
| 3.1 საერთაშორისო რეგულირება .....  | 49        |
| 3.1.1 UNCITRAL .....   | 51        |
| 3.1.2 ევროკავშირის დირექტივები .....   | 56        |
| 3.1.3 საერთაშორისო კომერციული სამედიაციო<br>ცენტრების რეგულაციები.....                               | 58        |
| 3.2 „რბილი სამართალი“ ( <i>Soft Law</i> ), როგორც მედიაციის<br>მოდელის განმსაზღვრელი კომპონენტი..... | 60        |
| 3.2.1 მედიატორთა პროფესიული სტანდარტი, როგორც<br>მედიაციის მოდელის განმსაზღვრელი ფაქტორი .....       | 62        |
| 4. მედიატორის სტილი, როგორც მოდელის<br>განმსაზღვრელი კომპონენტი.....                                 | 65        |

|  |           |
|--|-----------|
| 4.1 ხელშემწყობი მედიაციის სტილი .....  | 68        |
| 4.2 შეფასებითი მედიაციის სტილი .....   | 70        |
| 4.3 გარდაქმნითი მედიაციის სტილი.....   | 73        |
| <b>II. ევროპული მოდელი .....</b>   | <b>77</b> |
| 1. მედიაციის რეგულირების გერმანული მოდელი .....                              | 78        |
| 1,1 ძირეული საკითხების რეგულირების ფორმა.....                                | 80        |
| 1.1.1 სავალდებულო მედიაცია.....  | 83        |
| 1.1.2 მედიაციის ცნება .....  | 87        |
| 1.1.3 კონფიდენციალობის პრინციპი .....  | 88        |
| 1.1.4 სამედიაციო შეთანხმება .....  | 90        |
| 1.2 მედიატორთა პროფესიული სტანდარტი.....                                     | 93        |
| 1.2.1 აკრედიტაციის საკითხი .....   | 93        |
| 1.2.2 მედიატორის ვალდებულებები .....   | 94        |
| 1.3 მედიაციის პროცესუალური საკითხები.....                                    | 97        |
| 1.3.1 პროცესის ხარჯები და ვადები .....                                       | 97        |
| 1.3.2 მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების ფორმა<br>და მისი აღსრულება..... | 100       |
| 1.4 მედიაციის განვითარების ტენდენციები გერმანიის<br>ფედერაციაში.....         | 104       |
| 2. მედიაციის რეგულირების ავსტრიული მოდელი.....                               | 107       |
| 2.1 ძირეული საკითხების რეგულირების ფორმა.....                                | 109       |
| 2.1.1 მედიაციის ცნება .....  | 109       |
| 2.1.2 ნებაყოფლობითი მედიაცია .....   | 110       |
| 2.1.3 კონფიდენციალობა .....  | 112       |
| 2.1.4 სამედიაციო შეთანხმება .....  | 114       |
| 2.2 მედიატორთა პროფესიული სტანდარტი.....                                     | 116       |
| 2.2.1 აკრედიტაციის საკითხი .....   | 116       |
| 2.2.2 მედიატორის ვალდებულებები .....   | 118       |
| 2.3 მედიაციის პროცესუალური საკითხები.....                                    | 120       |
| 2.3.1 მედიაციის პროცესის წამოწყება.....                                      | 120       |

|  |     |
|--|-----|
| 2.3.2 პროცესის ხარჯები და ვადები .....                                     | 121 |
| 2.3.3 მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების ფორმა და მისი აღსრულება ..... | 123 |
| 2.4 მედიაციის განვითარების ტენდენციები ავსტრიის რესპუბლიკაში .....         | 126 |

**III. ამერიკის შეერთებული შტატების მედიაციის მოდელი .....** 129

|   |     |
|---|-----|
| 1. მედიაციის გზით დავის გადაწყვეტის კულტურის ფორმირება და მისი მახასიათებლები ..... | 129 |
| 2. მედიაციის სამართლებრივი რეგულირება .....   | 137 |
| 2.1 ფედერალური რეგულირება .....   | 137 |
| 2.1.1 უნიფიცირებული აქტი .....  | 138 |
| 2.2 მედიაციის რეგულირება კალიფორნიის შტატში .....                                   | 144 |
| 2.3 მედიაციის რეგულირება ფლორიდის შტატში .....                                      | 149 |
| 3. ძირეული საკითხების რეგულირების სპეციფიკა .....                                   | 154 |
| 3.1 მედიაციის ცნება .....   | 154 |
| 3.2 პროცესის კონფიდენციალურობა .....  | 156 |
| 3.3 მედიატორის პრივილეგია.....  | 159 |
| 3.4 მედიატორთა პროფესიული ვალდებულებები .....                                       | 162 |
| 4. პროცესუალური საკითხების რეგულირების სპეციფიკა .....                              | 164 |
| 4.1 მედიაციის წამოწყება .....   | 164 |
| 4.2 სამედიაციო მომსახურების საფასური და ვადები....                                  | 168 |
| 4.3 მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულება .....                          | 171 |
| 5. მედიაციის განვითარების ტენდენციები აშშ-ში.....                                   | 173 |

**IV. სასამართლო მედიაციის მოდელი საქართველოში.....** 176

|   |     |
|---|-----|
| 1. მორიგებით დავების გადაწყვეტის ისტორიული გამოცდილება ქართულ სამართალში..... | 176 |
|---|-----|

|  |     |
|--|-----|
| 1.1 მორიგება ქართულ ჩვეულებით სამართალში.....  | 176 |
| 1.2 ქართული მედიაციის ილია ჭავჭავაძისეული<br>კონცეფცია.....  | 179 |
| 2. სასამართლო მედიაცია კანონმდებლობის მიღებიდან<br>ხუთი წლის შემდეგ .....  | 187 |
| 2.1 სასამართლო მედიაციის მომწესრიგებელი<br>კანონდებლობის ანალიზი .....   | 188 |
| 3. კონფიდენციალობის დაცვის საკითხი;.....   | 191 |
| 1. პროცესის მონაწილე პირების უფლებები და<br>მოვალეობები; .....   | 193 |
| 2. საქმის მორიგებით დამთავრება .....   | 195 |
| 2.2 თბილისის საქალაქო სასამართლოს მედიაციის<br>საპილოტე პროექტის პრაქტიკის ანალიზი.....  | 199 |
| 2.3 სასამართლო მედიაციის გამოწვევები<br>საქართველოში .....   | 201 |
| 3. საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციები .....   | 205 |
| 3.1 მიხეილ ბლემანის, საქართველოში დავის<br>გადანყვეტის ალტერნატიული საშუალებების<br>შეფასება .....                                   | 205 |
| 3.2 დავების გადანყვეტის ევროპული ცენტრის<br>(aleS zalaris) ანგარიში.....   | 208 |
| 3.3 „ფონდ სამართლის უზენაესობის ინიციატივის“<br>(ვიქტორ შახტერის) მიერ საქართველოში სასამართლო<br>მედიაციის პროგრამის შეფასება ..... | 214 |
| V. დასკვნა.....  | 217 |
| ბიბლიოგრაფია.....  | 232 |

## შესავალი

*„არაფერია იმაზე რთულად დასაგეგმი, ნაკლებად სავარაუდო რომ  
წარმატებული იქნება და უფრო რთული თავის მოსაბმელად,  
ვიდრე ახალი მეთოდის დანერგვა“*

*ნიკოლო მაკიაველი*

კონფლიქტი ადამიანთა ურთიერთობების განუყრელი ნაწილი და ბუნებრივი კომპონენტია. როგორი მონესრიგებულიც არ უნდა იყოს საზოგადოებრივი ყოფა და როგორ გამართულადაც არ უნდა მუშაობდნენ სამართლებრივი ინსტიტუტები, სოციალურ კონფლიქტებს თავიდან ვერ ავიცილებთ, რადგან ის ადამიანთა ურთიერთობის თანმდევი მოვლენაა,<sup>1</sup> რომელსაც როგორც დადებითი ისე უარყოფითი შედეგის მოტანა შეუძლია.<sup>2</sup> თუ რიგ შემთხვევებში კონფლიქტი დაპირისპირების, ძალადობისა და განადგურების საფუძველი ხდება, სხვა შემთხვევებში იგი ახალი იდეების, შესაძლებლობებისა და წინსვლის სანინდარი შეიძლება აღმოჩნდეს. შესაბამისად, კონფლიქტის შედეგად წარმოქმნილი ენერჯის პოზიტიურად გამოყენების შემთხვევაში იგი მშვიდობის, პროგრესისა და მრავალფეროვნების საფუძველი ხდება.

საუკუნეებია, ცივილიზებულ საზოგადოებაში კონფლიქტის გადასაწყვეტად ადამიანები მიმართავენ სასამართლოს. შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ ამდენივე ხანია იურისტები არ წყვეტენ ფიქრს დავის გადაწყვეტის ახალი, კიდევ უფრო ეფექტიანი და ყაირათიანი მეთოდების მოსაძიებლად.<sup>3</sup> თუმცა ვინაიდან სასამართლო საქმის სამართლიანად გადაწყვეტის მიზნით დავას განიხილავს კანონის ნორმათა და ინდივიდთა უფლებებზე დაყრდნობით, მხარეთა რეალური ინტერესები, საჭიროებები და ემოციები რიგ შემთხვევებში უგულვებელყოფილი რჩება, რაც ხშირად იწვევს პროცესით ორივე მხარის უკმაყოფილებას. მიუხედავად იმისა, რომ შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებულ

1 *Buhring-Uhle C., Kirchoff L., Scherer G.*, Arbitration and Mediation in International Business, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2006, 166.

2 *Moore W. C.*, The Mediation Process: Practical Strategies for Resolving Conflicts, Third Edition, Jossey-Bass, San Francisco, 2003, 466.

3 *Goldsmith J. C., Ingen-Housz A., Pointon G. H.*, ADR in Business: Practice and Issues Across Countries and Cultures, Vol. II, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2011, 4.

სასამართლო პროცესის შემდეგ, როგორც წესი, ერთ-ერთი მოდავე მხარეა გამარჯვებული, ხშირად სასამართლო პროცესის ხანგრძლივობის, სიძვირისა და მხარეთა მიერ ურთიერთდაპირისპირებაზე დახარჯული ადამიანური რესურსის გამო პროცესით ორივე მხარე დაზარალებულია, ხოლო გამარჯვება – მოჩვენებითი.<sup>4</sup>

მართლმსაჯულების აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად გასული საუკუნის 70-იან წლებში აშშ-ის სასამართლო სისტემის წინაშე დაისვა საკითხი დავის გადანყვეტის ისეთი ალტერნატიული საშუალებების შექმნის შესახებ, რომელებიც მოდავე მხარეებს მისცემდა ოპტიმალური გამოსავლის მოძიების, მხარეებს შორის ურთიერთობის შენარჩუნებისა და ორივე მხარისათვის მისაღები მორიგებით დავის დასრულების შესაძლებლობას. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში აშშ-ის მართლმსაჯულების წინაშე წარმოშობილ გამოწვევასთან გამკლავების ერთ-ერთი საშუალება ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში გავრცელებული დავის გადანყვეტის ალტერნატიული მეთოდი – მედიაცია აღმოჩნდა. მედიაცია მოდავე მხარეებს შორის სწორი კომუნიკაციისა და თანამშრომლობითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებით კონფლიქტის მშვიდობიან ტრანსფორმირებას ახდენს. სწორედ ამიტომ მისი დახმარებით დავის რეგულირება პროცესში მონაწილე ყველა მხარისათვის მომგებიანია.

ბოლო წლებში განსაკუთრებით გაიზარდა მედიაციის როლი და მნიშვნელობა<sup>5</sup> მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მათ შორის, სულ უფრო და უფრო მატულობს მედიაციის მიმართ ინტერესი ევროკავშირის ქვეყნებში. მზარდია ტენდენცია მედიაციის საშუალებით სხვადასხვა კატეგორიების დავათა გადანყვეტის მიმართულებითაც. აღნიშნულს ადასტურებს 2008<sup>6</sup> და 2013<sup>7</sup> წლების ევროკავშირის დირექტივები, რომელთა მიღებას მოჰ-

4 *Bevan A.*, *Alternative Dispute Resolution*, Sweet & Maxwell, London, 1992, 1.

5 *Hopt J. K., Steffek F.*, *Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective*, Oxford University Press, Oxford, 2013, 7.

6 Directive 2008/52/EC, of the European Parliament and of the Council, on Certain Aspects of Mediation in Civil and Commercial Matters, 21 May 2008, *ob.*:

<<http://eur-lex.europa.eu/legal-content/en/ALL/?uri=CELEX:32008L0052>>, [30/07/2015].

7 Directive 2013/11/EU, of the European Parliament and of the Council, On Consumer ADR, 21 May 2013, *ob.*: <<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?qid=1452443373288&uri=CELEX:32013L0011>>, [30/07/2015].

ყვა მედიაციის, როგორც პრაქტიკული ღირებულების, აღიარება; ასევე იმატა მის მიმართ ინტერესმა ქართულ სამეცნიერო წრეებშიც.<sup>8</sup> კერძოდ, თუ საწყის ეტაპზე მედიაცია ძირითადად კერძო სამართლის დავებზე გამოიყენებოდა, დღეისათვის აღარავის უკვირს მისი საჯარო სამართლის დავებზეც გამოყენება. უფრო მეტიც, დასავლური ცივილიზაციის ქვეყნებში დღეისათვის მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება, კონფლიქტის გადაწყვეტის იმდენად პოპულარული მეთოდია, რომ მას აკადემიურ წრეებში ხშირად ალტერნატიულის ნაცვლად ადეკვატურ საშუალებასაც კი უწოდებენ.<sup>9</sup>

არ შეიძლება ითქვას, რომ მედიაციისადმი ინტერესი სასამართლოში დავების შეფერხების შედეგად გამოწვეული დროებითი ტენდენციაა. პირიქით, ის აღიქმება როგორც მართლმსაჯულების სისტემის შემადგენელი,<sup>10</sup> ახალი და უაღრესად მიმზიდველი კომპონენტი, რითიც სხვა სიკეთეებთან ერთად უმჯობესდება მხარეთა პროცესში მონაწილეობის ხარისხსაც.<sup>11</sup> ლორდ ფილიპსის<sup>12</sup> სიტყვებით რომ ვთქვათ: „დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განვითარებას ალტერნატივა არ გააჩნია“.<sup>13</sup> ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე მსოფლიოში სამართლის ამოცანა აღარ შემოიფარგლება მხოლოდ ადამიანთა თანაცხოვრების შედეგად წარმოშობილი კონფლიქტების სამართლიანად მოწესრიგებით,<sup>14</sup> მას ასევე დაემატა სამართლებრივი დავების სწრაფი, მოქნილი და ორმხრივად სასარგებლო გადაწყვეტა.<sup>15</sup>

8 *ცერცვაძე გ.*, მედიაცია, მერიდიანი, თბილისი, 2010, 95.

9 *Rozdeicer L., de la Campa A. A.*, Alternative Dispute Resolution Manual: Implementing Commercial Mediation, USA: Small and Medium Enterprise Department, World Bank Group, Washington DC, 2006, 1.

10 *Goldsmith J. C., Ingen-Housz A., Poinon G. H.*, ADR in Business: Practice and Issues Across Countries and Cultures, Vol. II, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2011, 3.

11 *Zalar A.*, Managing Judicial Change Through Mediation – Part I, ADR Bulletin, Vol. 6, No. 8, 2004, 1.

12 ინგ. Lord Nicholas Phillips, ინგლისისა და უელსის სასამართლოების თავმჯდომარე.

13 *Blackshaw I. S.*, TMC Asser Instituut (*La Haye*), Sport, Mediation and Arbitration, T.M.C. Asser Press, Hague, 2009, 241.

14 *ციპელიუხი რ.*, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, ბეკის გამომცემლობა, მიუნხენი, 2006, 12.

15 *Fiadjoie A.*, Alternative Dispute Resolution: a Developing World Perspective, Cavendish Publishing Limited, London, 2004, 17.